31/07/2025

MES 0 25 0000933689

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ.თბილისი,17.07.2025**
**სხდომისდაწყებისდრო: 11:00სთ**
**დასრულებისდრო: 12:30სთ**
**საბჭოსთავმჯდომარე:თამარ იოსელიანი**
**სხდომის მდივანი:მიხეილ გურგენიძე**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით2025 წლის 17 ივლისს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

1. თამარ იოსელიანი- შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. მამუკა ხუსკივაძე- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
3. მიხეილ გურგენიძე- შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიასისტენტ-პროფესორი;
4. ლევან მიდოდაშვილი- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
5. სერგო ჭელიძე- შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ - ს პროფესორი;
6. ქრისტინა რზგოევა- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
7. რიმა ბერიაშვილი- სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

8. კონსტანტინე სირბილაძე- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. ნინო ჩინჩალაძე- ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
10. ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი;
11. ივანე ჯაგოდნიშვილი- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. სალომე კუჭუხიძე- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:**

1. ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2. ანა ჯუღელი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

შპს უნივერსიტეტი გეომედი:

1. ალექსანდრე ლოლაძე - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
2. მანანა ცერცვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. ზურაბ ცეცხლაძე - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში
4. თამარ სოზიაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, „ბათუმი“:

1. თეა მიქელაძე - რექტორი
2. გიორგი ცხვედიანი - ვიცე რექტორი
3. ლეილა ახვლედიანი - დეკანი
4. ანი ქვათაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):**

1. ქეთევან კანკავა
2. ია ნაცვლიშვილი
3. შოთა ფოთოლაშვილი
4. ია ფანცულაია
5. სალომე ვორონოვი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 11:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ იოსელიანმა. სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაევალა მიხეილ გურგენიძეს.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომის მდივნად განისაზღვრა მიხეილ გურგენიძე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:**

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა;
2. შპს უნივერსიტეტ გეომედში განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, „ბათუმში“ განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- კი

ქეთევან ინანაშვილმა დააყენა შუამდგომლობა, რომ პირველი საკითხი (შპს კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების განხილვა.) აღნიშნულ სხდომაზე აღარ განხილულიყო, რადგან დაწესებულებამ შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ განხილვა დაეწყო მეორე საკითხით.

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს უნივერსიტეტ გეომედში განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, „ბათუმში“ განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**1. შპს უნივერსიტეტ გეომედში განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;**
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

ქეთევან კანკავამ აღნიშნა, რომ ექსპერტების ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის წარმოების ფარგლებში. სულ გაცემული იყო 18 რეკომენდაცია, აქედან 12 რეკომენდაცია მიჩნეული იქნა შესრულებულად. პირველ 2 რეკომენდაციასთან მიმართებით აღინიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები აღწერილი არ ყოფილა. ამასთან, პროგრამაშიც იყო აღნიშნული, რომ შესაბამისი ცვლილებები აკრედიტაციის პერიოდისთვის იგეგმება. აქედან გამომდინარე, ორივე რეკომენდაცია ძალაში რჩება. მესამე რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ ინდივიდუალური უკუკავშირი შეფასების ყველა ეტაპზე უნდა იყოს სტანდარტული და ფართოდ გამოყენებული პრაქტიკა სტუდენტების წარმატების ხარისხის გასაზრდელად, აღნიშნულთან დაკავშირებით აქცენტი ექსპერტთა მხრიდან გაკეთდა ინდივიდუალურ უკუკავშირზე და არა აპელაციის პროცედურაზე. რაც შეეხება მეოთხე რეკომენდაციას - გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირებულობა პორტფოლიოსა და ანტიპლაგიატის პროგრამის შესახებ, აღნიშნული რეკომენდაცია პირველ ეტაპზე განპირობებული იყო იმით, რომ ინტერვიუების დროს სტუდენტები არ იყვნენ ინფორმირებულნი არც პორტფოლიოს სტრუქტურისა და არც ანტიპლაგიატის პროგრამის შესახებ. ხოლო შემდგომ ეტაპზე ექსპერტებმა გამოითხოვეს დოკუმენტები, რომლებიც ამის დასტურს შეიცავდა. ამ ეტაპზე წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანდა სტუდენტთა აქტივობა, თუმცა რადგან ვერ ნახა ექსპერტთა გუნდმა თუ როგორ და რა ფორმით ხდება პორთფოლიოს შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ამიტომ დარჩა რეკომენდაცია, როგორც ნაწილობრივ შესრულებული. მეხუთე რეკომენდაციის მიხედვით - რეკომენდებულია, დაწესებულებამ მეტად იზრუნოს სტუდენტების კარიერის დაგეგმვასა და კარიერულ წინსვლაზე - გააძლიეროს ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან, გაზარდოს მათი რაოდენობა, შექმნას სტუდენტთა CV ბანკი და ა.შ. ამის შესახებ ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციასაც მეტად გაძლიერება და აქცენტირება სჭირდება. ამ ეტაპზე ხდება სტუდენტური დასაქმების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება დაწესებულების მხრიდან, თუმცა კურსდამთავრებულთა კარიერაზე ზრუნვა სტუდენტობიდანვე გასაძლიერებელია. ბოლო რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდებულია

ჩატარდეს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ კვლევის რაოდენობრივი შედეგებისა და დინამიკის ანალიზი შესაძლო მიზეზების იდენტიფიკაციითა და ამ შედეგის გამოყენებით პროგრამების განვითარების პროცესში. ექსპერტმა ამასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმას, რომ ბოლო პერიოდის მონიტორინგის პერიოდში გაკეთდა კიდევ ერთი კვლევა კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ, თუმცა როგორც წინა კვლევებში, ისე აქაც შედეგები არის რაოდენობრივი და აღწერილობითი. რეკომენდაციის შინაარსი გულისხმობს იმას, რომ შედეგები იყოს მეტად ანალიტიკური და იყოს რეკომენდაციები იმის შესახებ თუ როგორ უნდა შეიცვალოს პროგრამა იმისათვის, რომ კარიერული განვითარების შედეგები იყოს უკეთესი. ქეთევან კანკავამ მადლობა გადაუხადა დაწესებულებას კეთილგანწყობილი თანამშრომლობითი პროცესისათვის.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ ყველა რეკომენდაცია ზედმიწევნით შეასრულა და ისინი ნამდვილად იყო პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესში უნივერსიტეტი ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, განვითარების და შეფასების წესში შევიდა ცვლილება. გაიწერა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმა და მექანიზმი. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებიას. დაწესებულების წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ ეს საკითხი დახვეწა. კერძოდ, ეს ეხებოდა ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს. პროგრამის მოდიფიკაციაში იყო მაქსიმალური ჩართულობა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან. აღნიშნულმა პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია 2025 წლის თებერვალში. უნივერსიტეტი ფიზიკური რეაბილიტაციისა და მედიცინის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთავაზობს სასურველ დროს შეუზღუდავ სტაჟირებას, დასაქმების შესაძლებლობას საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკაში. კლინიკებში უკვე მიდის სტაჟირების პროცესი სადაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ის შეასრულა და ამასთან დაკავშირებით დოკუმენტის სახით გადმოგზავნილი იყო მტკიცებულება ელექტრონული მართვის სისტემიდან, რომელიც იყო პედაგოგისა და სტუდენტის უკუკავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, როგორც მიმდინარე, ისე დასკვნითი შეფასების დროს კურსის განმახორციელებელ პირებს აქვთ საშუალება დაუფიქსირონ სტუდენტებს ინდივიდუალური უკუკავშირი. ელექტრონული სისტემის თავისუფალ ველში უკუკავშირისთვის გამოიყენება ინდივიდუალური მეილებიც. სტუდენტები ინდივიდუალურ უკუკავშირს იღებენ სწავლის ყველა ეტაპზე. ასევე, ყველა სილაბუსშია გაწერილი, რომ სტუდენტი კვირაში მინიმუმ ერთი საათის განმავლობაში ღებულობს კონსულტაციას პედაგოგისგან სასწავლო კურსთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. ეს არის სავალდებულო და ანაზღაურებადი. მაშასადამე, ხშირად ხდება ინდივიდუალური თუ ჯგუფური კონსულტაციების ჩატარება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა მეოთხე რეკომენდაციაც შეასრულა. პორთფოლიოსთან დაკავშირებით გაცემული მე-11 რეკომენდაცია ექსპერტებმა შესრულებულად ცნეს და მოხსნეს რეკომენდაციებიდან. ანტიპლაგიატთან დაკავშირებით კი აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში ტარდება საკონულტაციო შეხვედრები აღნიშნულ საკითხზე სტუდენტებთან და მტკიცებულებები წარმოდგენილია ვებგვერდზე. ინსტიტუციის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მეხუთე რეკომენდაცია უნივერსიტეტმა შეასრულა.

აღინიშნა, რომ დაწესებულება ზრუნავს სტუდენტის კარიერასა და კარიერულ წინსვლაზე. საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში დასაქმებულია, მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად, 7 კრუსდამთავრებული. საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკაში - 6 კურსდამთავრებული. ამ ეტაპისთვის აღნიშნულ კლინიკებში სტაჟირებას გადიან პირველ შემთხვევაში 8, ხოლო მეორე შემთხვევაში 7 სტუდენტი და სწორედ ეს სტაჟირებები ხდება წინაპირობა დასაქმებისა. მეექვსე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ის ნაწილობრივ შესრულებულად იყო მიჩნეული თუმცა დაწესებულებამ სრულად შეასრულა ეს რეკომენდაცია. უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწარმოებს და აანალიზებს კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დასაქმების მაჩვენებელს მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად და აკადემიური განვითარებასთან დაკავშირებით, ანუ ვინ გააგრძელა სწავლა შემდგომ საფეხურზე. ეს ინფორმაცია ატვირთულია ვებგვერდზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა გააღრმავა სწავლების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები, შესაბამისად ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამის შეფასების და კომპეტენციის პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

ნინო ჩინჩალაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა რამდენი სტუდენტი ჰყავდა უნივერსიტეტს და აქედან რამდენი იყო უცხოელი.
მანანა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას, დაახლოებით, ჰყავს 950 სტუდენტი. აქედან 1/3 არის ქართველი, ხოლო 2/3 უცხოელი.

**დაწყების დრო: 11:30**
**დასრულების დრო: 11:35**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს უნივერსიტეტ გეომედში განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისმიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდა შპს უნივერსიტეტ გეომედში განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის წარმოება.

**2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, „ბათუმში“ განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

**საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ ლევან მიდოდაშვილი და კონსტანტინე სირბილაძე.**
**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

• კი

ქრისტინა რზგოევამ განაცხადა თვითაცილება

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.**

შოთა ფოთოლაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტი შედგა 2025 წლის 15 და 16 მაისს, რის საფუძველზეც გაიცა 12 რეკომენდაცია და 4 რჩევა. პირველი 2 რეკომენდაცია გამომდინარეობს 2.2 პუნქტიდან, რომლის მიხედვითაც რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს და დანერგოს პოლიტიკა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებზე რეაგირებისთვის და გააძლიეროს უკუკავშირის მექანიზმების ეფექტურობა. ექსპერტთა მხრიდან უკუკავშირის მექანიზმებზე იქნა ყურადღება გამახვილებული, რადგან უნივერსიტეტი ნამდვილად აწარმოებდა კონკრეტულ კვლევებს, მათ შორის, კმაყოფილების კვლევის ნაწილში, თუმცა ეს მექანიზმები საკმარისად თვალსაჩინო არ იყო ექსპერტთათვის. მეორე რეკომენდაციის თანახმად რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს საჭირო მექანიზმები საგანმანათლებლო აქტივობების პედაგოგის მხრიდან გაცდენის პრევენციის მიზნით. ამ ნაწილში ბაუფასის სისტემა უკვე მიღებული ჰქონდა დაწესებულებას, რომელიც არის ავტომატური აღრიცხვის სისტემა, თუმცა ჯერ ბოლომდე დანერგილი არ იყო. ასევე რეკომენდირებულია უსდ-მ გაატაროს საჭირო ღონისძიებები ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობასა და წახალისებისთვის, ასევე, აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების განმტკიცებისა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისთვის. აღნიშნულთან მიმართებით ძირითადი ინფორმაცია ექსპერტებმა პერსონალთან გასაუბრების დროს მიიღეს. მეოთხე რეკომენდაციის თანახმად რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს სამართლიანი და უსაფრთხო

საგამოცდო პროცესი (სტუდენტთა განაწილება; დაკვირვება). მეოთხე სტანდარტში გაიცა 4 რეკომენდაცია, რადგან უნივერსიტეტი ძირითადად ოპერირებს მოწვეული პერსონალის ხარჯზე. ეს თავად დაწესებულების გადაწყვეტილებაა, თუმცა მდგრადობის კუთხით ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ დიდი გამოწვევაა. მეხუთე სტანდარტში გაიცა 2 რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაციის თანახმად რეკომენდირებულია უსდ-მ მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი. ხოლო მეორე რეკომენდაციით რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების და ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის ეფექტიანი მექანიზმები. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სტუდენტების უმრავლესობა უცხოელია. მეშვიდე სტანდარტთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად საუნივერსიტეტო არეალში ბიბლიოთეკისთვის გამოიყოს მეტი ფართობი. ბოლო რეკომენდაცია კი ეხებოდა ციფრული საგანმანათლებლო სისტემების უსაფრთხოებასა და ბიზნესპროცესების უწყვეტობის ეფექტური მექანიზმების დანერგვას. ამის გარდა, ექსპერტებმა გასცეს 4 რჩევა, რომელიც ორიენტირებულია წინსვლასა და უნივერსიტეტის განვითარებაზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.**

რექტორმა, თეა მიქელაძემ, ხაზი გაუსვა იმას, რომ არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება იმ საფუძვლით რა საფუძვლითაც განხორციელდა საკმაოდ მოულოდნელი იყო დაწესებულებისთვის, თუმცა უშუალოდ მორნიტორინგი ჩატარდა საკმაოდ პოზიტიურ და მშვიდ გარემოში. დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა მეოთხე სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ ორი წლის წინ უნივერსიტეტს უკვე ჰქონდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, სადაც ეს სტანდარტი შესაბამისობაში იყო ავტორიზაციის სტანდარტთან. მიმდინარე წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე დაწესებულება თანამშრომლობა შეწყვიტა, დაახლოებით, 7 აკადემიურ პერსონალთან, რომლებიც ძირითადად იყვნენ უცხოელი ასოცირებული პროფესორები. ისინი არ ასრულებდნენ დატვირთვის წესის შესაბამისად მოცემულ მოთხოვნებს, რომლებიც ძირითადად ეხებოდა მათ სამეცნიერო საქმიანობას. ამის შესაბამისად, ინსტიტუციას მოუწია შუა სასწავლო წელს ხელშეკრულების შეწყვეტა, თუმცა აქამდე წინასწარ იყო განსაზღვრული თუ როგორ გადანაწილდებოდა აკადემიური საათები სხვა პროგრამაში ჩართულ პირებზე და კონკურსის გამოცხადება იგეგმებოდა ივნისში, თუმცა ამ პერიოდში მოუწია დაწესებულებას არაგეგმიური მონიტორინგი. კონკურსი უკვე გამოცხადებულია ივლისის დასაწყისში და ახლა იწყება შესაბამისი პროცედურები ამ საკითხის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.**

ნინო ჩინჩალაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა რამდენი სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას და აქედან რამდენი იყო ქართველი და რამდენი უცხოელი.
თეა მიქელაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარედ დაწესებულებას ჰყავს 826 სტუდენტი, აქედან 70 სტუდენტი ჩარიცხულია 2025-26 სასწავლო წლისთვის, სასწავლო პროცესი ჯერ არ დაუწყიათ, თუმცა უკვე აქტიურები არიან. აქედან 20% (780 სტუდენტი) არის საქართველოს მოქალაქე და დანარჩენი უცხოელი სტუდენტი. 300-მდე ჩართული პერსონალია მოწვეულისა და აკადემიურის ჩათვლით პროგრამაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაციის შესრულებაზე აქვს მზაობა. პერსონალის მიღებასთან დაკავშირებით კონკურსები გამოცხადებული იყო

ზაფხულში. ერთი კონკურსი უკვე ჩატარებულია, რის შემდეგაც 5 აკადემიური პერსონალი მიიღო დაწესებულებამ.
ნათია ზედგენიძემ 5.1 სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციასა და ამ ქვესტანდარტშივე გაცემულვე რჩევასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტთა გუნდს. მას აინტერესებდა რჩევა რატომ არის რჩევის სახით და არა რეკომენდაციის, რა გარემოებებმა გამოიწვია რჩევის ასეთი ფორმულირება.
შოთა ფოთოლაშვილმა რეკომენდაციის შესახებ განმარტა - აღნიშნულ საკითხს კანონმდებლობა არეგულირებს იმგვარად, რომ სტუდენტი პირველ რიგში განათლების აღიარებას აკეთებს, რომელიც დასტურდება და შემდგომ გამოიცემა ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანება სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭებაზე. ეს არ არის ჩარიცხვა, აქ იგულისხმება მხოლოდ უფლების მინიჭება. ამის შემდგომ ეს ბრძანება მიდის ინსტიტუციაში და ის რიცხავს უკვე სტუდენტად და აფიქსირებს სისტემაში. მაგრამ აქ იყო მნიშვნელოვანი ის აცდენა, რომ უნივერსიტეტი სისტემაში არეგისტრირებდა როგორც სტუდენტს, თუმცა ხელშეკრულების გაფორმება ხდებოდა მას შემდეგ, როცა სტუდენტი ჩამოვიდოდა ქვეყანაში. ვალდებულებითი ნაწილი სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის იწყება ხელსეკრულებით, ამიტომ მის გარეშე ჩარიცხვა, თუნდაც შეჩერებული სტატუსით, და დაფიქსირება როგორც სტუდენტად არის არასწორი. რაც სეეხება რჩევას, ის იმიტომ არ მოხვდა რეკომენდაციაში, რადგან ონბუცმენის პოზიციაზე თვითმმართველობის პრეზიდენტის თუ ხელმძღვანელის შერჩევა არსად გაწერილი არ არის რომ არ შეიძლება და არის შეუთავსებლობა. ეს რომ ასე ყოფილიყო, აუცილებლად მოხვდებოდა რეკომენდაციაში. თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით ამ ორ თანამდებობაზე ერთი და იმავე ადამიანის დანიშვნა აკნინებს ორივეს როლს და ეფექტურობას ამცირებს. ამიტომ გაიცა რჩევა.
ანი ქვათაძემ აღნიშნა, რომ ონბუცმენთან და პრეზიდენტთან დაკავშირებით იყო ინტერვიუს დროს გამოვლენილი უზუსტობა, მაგრამ ვინაიდან რჩევის სახით იყო ჩამოყალიბებული აღნიშნული საკითხი დაწესებულებამ დამატებითი განმარტება არ გააკეთა. თუმცა ვინც ინტერვიუზე იყო წარმოდგენილი ის არ წარმოადგენს თვითმმართველობის პრეზიდენტს.
დაწესებულების წარმომადგენელმა 5.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის ეხება ძირითადად უცხოელ სტუდენტებს. ცენტრის დირექტორის ბრძანების მოსვლამდე და ხელშეკრულებამდე ისინი გადიან სავიზო პროცედურას, რა დროსაც მათი სტუდენტი ჩარიცხული უნდა იყოს.
თამარ იოსელიანმა 3.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტებს სთხოვა, რომ უფრო დეტალურად განემარტათ აღნიშნული საკითხი.
შოთა ფოთოლაშვილმა განმარტა, რომ ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ დასკვნით გამოცდებს ესწრება იგივე პედაგოგი, რომელიც კითხულობს ამ სასწავლო კურსს, ან შესაძლოა სხვა პედაგოგო, რომელიც თვისობრივად დაკავშირებულია ამ კურსთან. ასევე, როგორც საჩივარში იყო მითითებული ერთ სივრცეში არის იმდენად ბევრი სტუდენტი, რომ მათი გაკონტროლება ფიზიკურად არის ძალიან რთული.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი ეთანხმებიან აღნიშნულ რეკომენდაციას. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან სტუდენტების უმეტესობა უცხოელია აპელაციების უმეტესობა არის შემდეგი შინაარსის, რომ გამოცდაზე შეტანილი კითხვის შინაარსი სილაბუსს არის აცდენილი. აქედან გამომდინარე ბევრია შინაარსობრივი აპელაციები. იმისთვის, რომ არ გახანგრძლივებულიყო საგამოცდო პროცესი დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საგამოცდო ბუკლეტის გაცნობის დროს ყოფილიყო იქ იმ დარგის წარმომადგენელიც, რომელიც ტესტთან დაკავშირებულ პრეტენზიებს აღმოფხვრდა.
ლეილა ახვლედიანმა აღნიშნა, რომ გამოცდებზე დამსწრეთა გარდა არის პირდაპირი ვიდეო მონიტორინგი, რომელსაც აკონტროლებს ხარისხის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი. ამიტომ მსგავსი გადალაპარაკებები თუ არის პედაგოგსა და სტუდენტს შორის მისი აღმოფხვრა მაშინვე ხდება.

თამარ იოსელიანმა ექსპერტთა ჯგუფს 7.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიმართა კითხვით. მას აინტერესებდა ამ მიმართულებით რამ განაპირობა რეკომენდაციის ჩამოყალიბება.
შოთა ფოთოლაშვილმა განმარტა, რომ სამეცნიერო კვლევითი ნაწილის მოთხოვნა მაშინ, როცა ორი პროგრამა აქვს დაწესებულებას საკმაოდ რთულია, თუმცა არ არის იმის ტოლფასი, რაც სხვა უნივერსიტეტებში ხდება, რადგან განსხვავებული სტანდარტია კლინიკურ კვლევებთან დაკავშირებით. ამიტომ რადგან ექსპერტებს მეექვსე სტანდარტი არ ჰქონდათ შესაფასებელი მაქსიმალურად ეცადნენ კვლევითი ნაწილისთვის დიდი დრო არ დაეთმოთ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი ამ საკითხში ეთანხმება ექსპერტთა გუნდს.
ნათია ზედგინიძემ მეოთხე სტანდარტში გაცემულ 4.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიმართა ექსპეტრებს. მას სურდა ეს რეკომენდაცია განემარტათ მეტად დაწვრილებით.
შოთა ფოთოლაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერთტათვის სიმძიმის ცენტრი იყო აკადემიური და აფირირებული პერსონალის რაოდენობა. ასისტენტების გარდა ჯამში 15-16 აკადემიური პერსონალი ჰყავს დაწესებულებას, რაც საბოლოო ჯამში დაბალია.
ლეილა ახვლედიანმა განმარტა, რომ პერსონალის გარკვეულ წევრებთან, როგორც უკვე აღინიშნა, კონტრაქტი შეწყვეტილია და შესაბამისად საჭირო იყო ამის დაკომპენსირება, ამიტომ არსებულ პერსონალზე გადანაწილდა საათები. ხაზი გაესვა იმასაც, რომ შიდა რეგულაციის მიხედვით ასისტენტებთან დაკავშირებით არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა, რადგან პროფესორისთვის წელიწადში 200 საათია განსაზღვრული, ასოცირებული პროფესორისთვის - 240 სთ, ასისტენტ-პროფესორისთვის -290 სთ და ასისტენტისთვის 350 სთ. ამავდროულად აღინიშნა ისიც, რომ წლების მიხედვით სასწავლო კვირების გადანაწილება სხვადასხვანაირია. რადგან პირველი სემესტრი თექვსმეტ კვირიანია, ხოლო მეორე - 15. აქედან გამომდინარე 15 კვირიან გადანაწილებაზე სწორ ციფრს ვერ მიიღებენ. გარდა ამისა ყველა ასისტენტი დაიტვირთა იმით რომ, ასევე რეგულაციის ფარგლებში, თითოეულ მათგანს უფლება აქვს ნახევარი შტატი დაიმატოს სწავლების პერიოდში, რომელიც არ შედის სახელფასოში და ემატება ზემოდან ნახევარი შტატის ანაზღაურება.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის მოთხოვნები ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ არც თუ ისე მიმზიდველი აღმოჩნდა ასოცირებული პროფესორებისთვის. ეს მიდგომა დაწესებულებამ უკვე შეცვალა, დაახლოებით, 60%-ით გაიზარდა ანაზღაურება სრულპროფესორზე და 40%-ზე მეტით ასოცირებულ პროფესორზე. ამან გამოიწვია ის დატვირთვა, რაც ასისტენტებს ჰქონდათ ბოლო სემესტრის განმავლობაში. ამის შეზღუდვის ახალი მექანიზმია შემუშავებული დაწესეულებაში და ვეღარ გაორმაგდება აკადემიური პერსონალის დატვირთვა.

**დაწყების დრო: 12:20**
**დასრულების დრო: 12:25**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, „ბათუმის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებლად 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის პირველი და 21-ე პუნქტების შესაბამისად, შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, „ბათუმს“ განესაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადაგამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

**რეკომენდაციები:**

2.2

- რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს და დანერგოს პოლიტიკა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებზე რეაგირებისთვის და გააძლიეროს უკუკავშირის მექანიზმების ეფექტურობა;

- რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს საჭირო მექანიზმები საგანმანათლებლო აქტივობების პედაგოგის მხრიდან გაცდენის პრენეციის მიზნით;

2.3

- რეკომენდირებულია უსდ-მ გაატაროს საჭირო ღონისძიებები ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობასა და წახალისებისთვის, ასევე, აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების განმტკიცებისა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისთვის;

3.3.

- რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს სამართლიანი და უსაფრთხო საგამოცდო პროცესი (სტუდენტთა განაწილება; დაკვირვება);

4.1

- რეკომენდირებულია უსდ-მ განაახლოს აკადემიური პერსონალის აფილირების პოლიტიკა და დანერგოს აფილირების მეტად ხელშემწყობი მექანიზმები;

4.2

- რეკომენდირებულია ასისტენტებისთვის საკონტაქტო საათების რაოდენობის გადახედვა;

- რეკომენდირებულია კატეგორიების მიხედვით და მოწვეული პერსონალისთვის საკონტაქტო საათების გადახედვა;

- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის (მათ შორის აფილირებული) რაოდენობის გაზრდა;

5.1

- რეკომენდირებულია უსდ-მ მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი;

5.2

- რეკომენდირებულია უსდ-მ შეიმუშავოს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების და ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის ეფექტიანი მექანიზმები;

7.2

- რეკომენდირებულია სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად საუნივერსიტეტო არეალში ბიბლიოთეკისთვის გამოიყოს მეტი ფართობი;

7.3

- რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს ციფრული საგანმანათლებლო სისტემების უსაფრთხოება და ბიზნესპროცესების უწყვეტობის ეფექტური მექანიზმების დანერგვა.

**საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 17 ივლისს, 12:30 საათზე.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
სხდომის მდივანი
გურგენიძე მიხეილ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
იოსელიანი თამარ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ზეზამბეჩსმეღლა
ელექტრონული